პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 ოქტომბერი ხუთშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 232 (14228)



თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პროდუქციის ხარისხს. სურათზე: მექანიკურ-საამწყობო საამქროს ტექნიკური კონტროლიორი ნათელა ქირია (მარჯვნივ) ამოწმებს მოწინავე კომუნისტი ხარატის რევაზ მერაბოვის მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პროფკავშირთა დიდი ამოცანები

პროფკავშირები ჩვენი პარტიის სიიმედო დასაყრდენია. მუშათა კლასის ეს ყველაზე მასობრივი ორგანიზაციები მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის კომუნიზმის ნამდვილ სკოლას წარმოადგენს.

ძნელია დავასახელოთ ჩვენი შრომისა და ცხოვრების რომელიმე უბანი, სადაც არ სწვდებოდეს პროფკავშირის წევრთა გამრჯე ხელი, ფხიზელი თვალი და მახვილი ყური. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის მშრომელთა მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ შესანიშნავ წარმატებებში ჩაქსოვილია საქართველოს პროფკავშირთა მრავალთაგვარი არმიის ღირსეული წვლილი.

ლენინურმა ვანტმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა მასების შემოქმედებითი აქტივობა. პროფკავშირთა ამოცანაა განამტკიცონ ხალხის ეს შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, უკეთ გამოიყენონ მოწინავე კოლექტივების გამოცდილება. ესეთი კოლექტივები კი, რომლებიც განსაკუთრებულად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, წარმატებით ნერგავენ კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, დღითიდღე აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, მკაცრად და თანმიმდევრულად ახორციელებენ ეკონომიის რეჟიმს, რაციონალურად ხარჯავენ საწარმოთა ფონდებს, სწორად მიმართავენ შრომის ანაზღაურებისა და პრემირების დაწესებულებისტვის, ცოტა როდი აქვთ ქალაქსა და რაიონში.

მაგრამ როცა ამ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავგავიწყდეს ნაკლოვანებანიც, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობაში. ცალკეული საწარმოების, საზოგადოებრივი მეურნეობებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების პროფესიული კომიტეტები ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდებიან საარსებო საკითხებს, არ იჩენენ საჭირო ინიციატივასა და პრინციპულობას მათ გადაწყვეტაში, ხუსტად რაზმავენ კოლექტივებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

სერიოზული ნაკლოვანებანია, მაგალითად, ენგურჰესის — ამ დიდი მნიშვნელობის უნიკალური მშენებლობის მუშათა კადრებით უზრუნველყოფისა და მათი დამაგრების საქმეში. აქ ხშირია მუშათა დენადობისა და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევათა შემთხვევები. და ეს იმიტომ ხდება, რომ მშენებლობის სამეურნეო ხელმძღვანელები და პროფკავშირული ორგანიზაციები ღრმად არ სწვდებიან ამ ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს, არ იჩენენ საჭირო ზრუნვას მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ მშენებლობაზე სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ამ მიზნით გამოყოფილ სახსრებს.

საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის მრავალ ფაქტს შეხვდებით ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაშიც. აღსანიშნავია, რომ საქარხნო კომიტეტი არავითარ კონტროლს არ უწევს საწარმოს ამხანაგური სასამართლოების მუშაობას, რის გამო საზოგადოებრივი ზემოქმედების ეს მძლავრი საშუალებანი წლების მანძილზე სრულ უმოქმედობას იჩენენ.

ყველაფერი რიგზე როდია მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში. ეს განსაკუთრებით შეეხება სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას. მაგალითად, თელავის რაიონის კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტი არარეგულარულად აჯამებს შეჯიბრების შედეგებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს მის ქმედითობასა და საჯაროობას, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. აქ სათანადო ყურადღება არ ექცევა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

საქართველოს პროფსაბჭო, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს მათთვის მინიჭებული ფართო უფლებების სწორად და სრულად გამოყენებაში.

პროფკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მთავარი პირობაა პროფესიული კავშირებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება. მაგრამ რედაქციაში შემოსული სიგნალები ცხადყოფენ, რომ პარტიული კომიტეტების ნაწილი ჯერ კიდევ საკმაოდ ღრმად ვერ სწვდება პროფკავშირების მოღვაწეობას, ყოველთვის არ ეყრდნობა მათ სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულებაში. საჭიროა განვავითაროთ პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივა და თვითმოქმედება, არ დავუშვათ წვრილმანი მეურვეობა. პარტიული კომიტეტები უურადღებით უნდა ეკიდებოდნენ პროფკავშირული ორგანოების ყოველ გონივრულ წინადადებას, ეფათებრებოდნენ მათ წარმოების, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფის საკითხებზე. შემდგომ უნდა განვამტკიცოთ პროფკავშირული დემოკრატია, ავამაღლოთ მუშათა კრებებისა და საწარმოო თათბირების როლი. პარტიული ორგანოების უურადღების ცენტრში უნდა იდგეს პროფკავშირულ კადრებთან მუშაობა.

რესპუბლიკის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების ყველა რგოლში 1 ოქტომბერს დაიწყო ანგარიშგება-არჩევნები, რაც 1 დეკემბრამდე გასტანს.

ანგარიშგება-არჩევნები დიდი მოვლენაა პროფკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ამ მნიშვნელოვანი მასობრივ-პოლიტიკური კამპანიის მიზანს შადგენს პროფკავშირული ორგანიზაციების მთელი მოღვაწეობის შემდგომი გაუმჯობესება. ამიტომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოების ვალია უზრუნველყონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებისადმი. ამიცანა ეს არის, რომ ყოველმხრივ მოვამზადოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები, მოვაწყოთ ისინი სათანადო ინსტრუქციის მკაცრი შესაბამისობით, ურყევად დავიცვათ პროფკავშირული დემოკრატია, კრებებისა და კონფერენციების მოწყობის კალენდარული ვადები, შევაქმნათ ყველა აუცილებელი პირობა პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისათვის.

კრებებმა და კონფერენციებმა უნდა გვიჩვენონ მშრომელთა გაზრდილი აქტივობა წარმოების მომწიფებული საკითხების გადაწყვეტაში. პროფკავშირის წევრთა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში მათი მოღვაწეობის გაუმჯობესების, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისადმი ზრუნვის გაძლიერების, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პროფკავშირების როლის ყოველმხრივ ამაღლების, აგრეთვე სოციალისტური კანონიერების დაცვის, დამნაშავეობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლის საკითხებს.

ანგარიშგება-არჩევნებმა ხელი უნდა შეუწყოს პროფკავშირული კომიტეტების შემდგომ განმტკიცებას მოწინავე, უნარიანი, საქმიანი მუშაკებით, რომლებმაც მოიპოვეს ხალხის ნდობა და აკმაყოფილებენ პროფკავშირულ ხელმძღვანელობამდე წაყენებულ მოთხოვნებს.

პროფკავშირული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა მიერ შეტანილ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, თუ კი უნარიანად მოვაწყობთ მათი შესრულების შემოწმებასა და კონტროლს.

ДОМОВАРДА САВАХРОЗА КАВШИР — ИРАНИС МОЛОКАРАКАДЗЕ

2. ოქტომბერს კრემლში დამთავრდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ირანის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჰასან ალ-ამრის მოლაპარაკება, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

КОМУНИКЕ

КОМУНისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფისა და კომისიის სხდომათა შესახებ

1968 წლის 27 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ბუდაპეშტში მიმდინარეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი ჯგუფისა და კომისიის სხდომები.

სხდომებში მონაწილეობდნენ შემდეგი კომუნისტური და მუშათა პარტიების — ალჟირის სოციალისტური ავანგარდის პარტიის, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის, არგენტინის კომუნისტური პარტიის, ავსტრალიის კომუნისტური პარტიის, ავსტრიის კომუნისტური პარტიის, ბელგიის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბოლივიის კომუნისტური პარტიის, ბრაზილიის კომუნისტური პარტიის, ჩილეს კომუნისტური პარტიის, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის, კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, დანიის კომუნისტური პარტიის, სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის, ეკვადორის კომუნისტური პარტიის, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის, ფინეთის კომუნისტური პარტიის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის, გვადელუპის კომუნისტური პარტიის, გვატემალის შრომის პარტიის, ჰაიტის ხალხის ერთობის პარტიის, ჰონდურასის კომუნისტური პარტიის, ინდოეთის კომუნისტური პარტიის, ირლანდიის მუშათა პარტიის, ერაყის კომუნისტური პარტიის, ირანის სახალხო პარტიის, ისრაელის კომუნისტური პარტიის, კოლუმბიის კომუნისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, ლიბანის კომუნისტური პარტიის, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, განთავისუფლებისა და სოციალიზმის პარტიის (მაროკო), მარტინიკის კომუნისტური პარტიის, მექსიკის კომუნისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის — დასავლეთი ბერლინი, გერმანიის კომუნისტური პარტიის, იტალიის კომუნისტური პარტიის, პარაგვაის კომუნისტური პარტიის, პერუს კომუნისტური პარტიის, რეიუნიონის კომუნისტური პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, სალვადორის კომუნისტური პარტიის. სან-მარინოს კომუნისტური პარტიის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის, შვეიცარიის შრომის პარტიის, სირიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სუდანის კომუნისტური პარტიის, თურქეთის კომუნისტური პარტიის, ტუნისის კომუნისტური პარტიის, ურუგვაის კომუნისტური პარტიისა და ვენესუელის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები.

მთელმა რიგმა პარტიებმა, რომელთა წარმომადგენლებმა სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლეს ჩამოსულიყვნენ სხდომაზე, შესაბამისი წერილები გაუგზავნეს მოსამზადებელ კომისიას.

მოსამზადებელმა კომისიამ მოისმინა და მოიწონა ინფორმაცია კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ. გაიმართა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. მოსამზადებელი კომისიის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადასტურეს, რომ საერთაშორისო თათბირი საჭიროა თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისათვის ბრძოლის ამოცანების განსახილველად.

მოსამზადებელი კომისიის მონაწილეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს კვლავ განიხილონ საკითხი საერთაშორისო თათბირის მოწვევის თარიღის შესახებ. მათ გადაწყვიტეს ამ საკითხზე მოეთათბირონ თავიანთი პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს.

მოსამზადებელი კომისიის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მოსამზადებელი კომისიის მორიგ სესიას მოიწვევენ ბუდაპეშტში მიმდინარე წლის 17 ნოემბერს და ამ სესიაზე განიხილავენ თათბირის მოწვევის თარიღის საკითხსა და მისი შემდგომი მომზადების წესს.

სამუშაო ჯგუფისა და მოსამზადებელი კომისიის სხდომებმა ჩაიარა აზრთა თავისუფალი ამხანაგური ურთიერთგაზიარების ვითარებაში და ერთხელ კიდევ ცხადყო მოძმე პარტიათა მისწრაფება — კიდევ უფრო განავითარონ თანამშრომლობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ბუდაპეშტი, 1968 წლის 1 ოქტომბერი.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

2 ოქტომბერს მოსკოვში გრძელდება საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი. როგორც წინა დღეს, პლენუმი განიხილავდა სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის განხორციელების საქმეში საკავშირო მონაწილეობის საკითხს.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ პროფკავშირთა, მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებისა და საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანესი საქმეა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაზრდის იმ ამოცანათა შესრულებაში, რომლებიც სკკპ 23-ე ყრილობამ დასახა. პროფკავშირთა საბჭოებმა და კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა, მეტი ყურადღება დაუთმონ სამეცნიერო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაკების შემოქმედებითი თანამეგობრობის განმტკიცებას.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე —პროფკავშირულ კადრებთან და აქტივთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ნ. ნ. რომანოვმა.

პროფკავშირულმა ორგანოებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით, თქვა მან, ამ ბოლო დროს რამდენადმე გააუმჯობესეს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში. ახლა მეტწილ პროფკავშირულ ორგანოს სათავეში უდგანან ამხანაგები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო განათლება, საწარმოო გამოცდილება. ამასთან გვხვდება ფაქტები, როცა პროფკავშირულ სამუშაოზე აწინაურებენ მოუმზადებელ ადამიანებს. ეს მოწმობს, რომ კადრებთან მუშაობა ცალკეულ პროფკავშირულ ორგანოებში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ წარმოებს.

ნ. ნ. რომანოვმა შემდეგ თქვა, რომ პროფკავშირული ორგანოები გეგმაზომიერად უნდა მუშაობდნენ კადრების რეზერვთან, რეზერვში არჩევდნენ წარმოებათა პროფკავშირულ აქტივისტებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პროფკავშირულ სამუშაოზე ქალებისა და ახალგაზრდების დაწინაურების საკითხი.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო პროფკავშირთა მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, ხაზი გაუსვა, რომ უნდა ვაუმჯობესებდეთ პროფკავშირული კადრებისა და აქტივის იდეურ-თეორიულ მომზადებასა და კვალიფიკაციას. მომხსენებელმა ჩამოაყალიბა წინადადებანი კადრების მომზადებისა და გადამზადების შესახებ. (საკდესი).



ირანის შაჰინშაჰი სოფხეთში

ერევანი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეხლევი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში, გუშინ ერევანში ჩამოვიდა.

საპატიო სტუმარსა და მის თანხმლებ პირებს შეხვდნენ სოფხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. მურადიანი, მინისტრები, ერევნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ერევანი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეხლევი, რომელიც წუხელ ჩამოვიდა სოფხეთის დედაქალაქში, დღეს დილით ეწვია სოფხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ხ. არუთინიანს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ა. მურადიანს.

გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

შაჰინშაჰმა დაათვალიერა ძველი ხელნაწერების საცავი მატენადარანში.

ირანის შაჰინშაჰმა ხელი მოაწერა საპატიო სტუმრების წიგნში.

შემდეგ ირანის სახელმწიფოს მეთაურმა გაისეირნა ერევანში, დაათვალიერა რესპუბლიკის დედაქალაქის არქიტექტურული ანსამბლები და მშენებლობანი.

საპატიო სტუმარი იმავე დღეს ეწვია ელექტრონული გამოსათვლელი მანქანების კონსტრუირებისა და დამუშავების ერთ-ერთ წამყვან ცენტრს სსრ კავშირში, დაათვალიერა მათემატიკური მანქანები „რაზდან-3“ და „ნაირი-2“.

შუადღისას ირანის შაჰინშაჰი და მისი თანმხლები ოფიციალური პირნი სევანის ტბაზე ავიდნენ.

მუშიდოგიანი ატომის ახალი ნარმატება

ამოქმედდა სამრეწველო ქიმიური რეაქტორები

საბჭოთა კავშირში პირველად მსოფლიო პრაქტიკაში შეიქმნა და უოველმხრივ გამოსცადეს პროტოტიპი სერიული რადიაციულ-ქიმიური რეაქტორისა (სულფოქლორატორი), რომელიც გამოიყენება სინთეზურ სარეცხ საშუალებათა წარმოებისათვის საჭირო საწყისი პროდუქტის სულფოქლორიდის მისაღებად.

ამ ტიპის სამრეწველო რეაქტორი მოქმედებს ვოლგოგრადის ქიმიურ კომბინატში, იგი ჩართულია განსაკუთრებით ძვირფასი თვისებების მქონე მთელი რიგი სინთეზური სარეცხი და ზედაპირული აქტიური ნივთიერებების წარმოებისათვის საჭირო პროდუქტის მიღების ტექნოლოგიურ ხაზში. ექსპერიმენტის დროს იმდენი სინტეზია მიღებული, რომ საკმარისია ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა დაახლოებით შესამდეგის დასაკმაყოფილებლად.

ქიმიურ-ატომურ რეაქტორში გამა-სხივების წყაროა კობალტის რადიოაქტიური იზოტოპი— კობალტი-60. მისი აქტივობა 2,5 კილოგრამი რადიუმის ექვივალენტურია. რეაქტორი წარმოადგენს რამდენიმე მეტრი სიმაღლის ცილინდრს. დანადგარი მოთავსებულია სხმული რკინაბეტონის მასიურ საძირკველზე და შემორტყმული აქვს თუჯის დაახლოებით ნახევარმეტრიანი ფენა, რომელიც გამა-სხივებისაგან საიმედო ბიოლოგიური საცავია.

ახლა საბჭოთა კავშირის რადიაციული ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მთავრდება ვოლგოგრადისა და სუმგაითის ქიმკომბინატებისათვის სამრეწველო ატომურ რეაქტორთა დაპროექტება. თვითეულ ახალ დანადგარს ექნება სამი სექცია, რომლებიც ზომითა და პრინციპული სქემით მოგვაგონებენ ამჟამად ვოლგოგრადში მოქმედ საცდელ-სამრეწველო რეაქტორს.

ხუთწლედის დამლევს ახალი სამრეწველო ქიმიური რეაქტორები ჩადგებიან მწყობრში. სუმგაითში რადიაციის საშუალებით ნავთობის გამოხდის ნავთის ფრაქციებიდან დაქლორვით მიიღებენ სულფანოლსა და პლასტიფიკატორებს — ნივთიერებებს, ურომლისოდაც შეუძლებელია ბევრი სახეობის პლასტმასის მიღება. აქ რადიაციული პროცესებისათვის გამოიყენებენ რადიოაქტიური კობალტი 60-ის მძლავრ მუხტს, რომელიც გამა-გამოსხივებით 10-20 კილოგრამი რადიუმის ექვივალენტურია.

ვოლგოგრადში ქიმიურ სამრეწველო ატომურ რეაქტორს გამოიყენებენ სიმთინის მისაღებად. მისი მწარმოებლობა საკმარისი იქნება, რომ მთლიანად დააკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ამ ძვირფას სინთეზურ ნედლეულზე. (საკდესი).

ხუთწლედი — ვადამდე!

ნოგათეგები

◆ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხულოს რაიონის მეთამბაქოეებმა პირველი წარმატება მოიპოვეს. 1 ოქტომბრისათვის შეტანილი და ანგმისილია 7.888.961 ზონარმეტრი თამბაქო, რაც წლიური გეგმის 100,4 პროცენტს შეადგენს.

წარმატებით მიმდინარეობს ხმელი თამბაქოს ჩაბარება. უკვე ჩაბარებულია 234 ტონაზე მეტი ხმელი თამბაქო. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ბმრიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მ. აბულაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ს. ხუსრომანიძემ.

◆ პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩხოლარიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. სურმავამ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონმა კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა შეასრულა 110 პროცენტით. თესლოვანი ხილი დამზადებულია 652 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 530 ტონისა, ანუ გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით. თესლოვანი ხილის დამზადება გრძელდება.

◆ სამტრედიის რაიონის მშრომელებმა 29 სექტემბრისათვის 106,5 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 9 თვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 6.694 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 6.270 ცენტნერისა. რძის დამზადების 9 თვის გეგმა შესრულებულია 100,4 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით. შესრულებულია აგრეთვე ტყავნედლეულის დამზადების გეგმები. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოხრეიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მანჯგალაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ქართველიშვილმა.

◆ მაიაკოვსკის რაიონმა 24 სექტემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 9 თვის გეგმა, რძის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით, კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა — 124 პროცენტით, ხილის დამზადებისა — 110 პროცენტით. ეს „კომუნისტს“ რედაქციას აცნობეს პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. კოსოძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ქარჩხაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზ. ჩხეიძემ.

თამგაკოს კარგი მოსავალი მიიღეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობაში. სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გადლია (მარცხნივ) და კოლმეურნე თ. მუშკუდიანი ამოწმებენ გამშრალი თამბაქოს ხარისხს.

ფოტო ს. კორობკოვისა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

ვეფქვენათ ქურნალისტთა ლენინიანა!

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

მოსკოვში 1 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის III პლენუმი. პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადების შესახებ და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის „ამოცანები“, რომელიც გააკეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა მ. ვ. ზიმიანინმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, თქვა მომხსენებელმა, მკაფიოდ არის გაშუქებული ვ. ი. ლენინის სიდიადე და მისი მოძღვრების დაუშრეტელი ცხოველმყოფელი ძალა. საბჭოთა ჟურნალისტები მთელი პარტიული მგზნებარებით, მაღალი პუბლიცისტური ოსტატობითა და პოლიტიკური სიმძაფრით უნდა ამკვიდრებდნენ სოციალისტურ იდეებს, ამხილებდნენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში უნდა ვუჩვენებდეთ ლენინიზმის გამარჯვებას ადამიანის საქმიანობის ყველა დარგში.

ჟურნალისტთა ლენინიანის შექმნა დაიწყო იუბილესათვის მზადების დაწყებამ. გეგმა შეიმუშავა მოსკოვის ჟურნალისტთა ორგანიზაციამ. გათვალისწინებულია მოეწყოს ლენინის პუბლიცისტური მემკვიდრეობისადმი, პრესის პარტიულობის ლენინური პრინციპებისადმი მიძღვნილი თეორიული სამეცნიერო კონფერენციები. გამოსცემენ წიგნებს „ლენინი მოსკოვში“, „ლენინური სკოლის პუბლიცისტები“, ლენინურ თემაზე ფოტოსურათებისა და ნახატების ალბომებს.

„ხალხთა ლენინური მეგობრობის ასასვა ამიერკავკასიის პრესის ფურცლებზე“ — ამ თემას მიეძღვნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი შეხვედრა. მოლდავეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ვოლგოგრადის, ოლქის, კრასნოიარსკის მხარისა და სხვა რაიონების ჟურნალისტთა ორგანიზაციებმა გამოაცხადეს კონკურსები ლენინისა და მისი ანდერძის განხორციელების შესახებ საუკეთესო ნარკვევებისა და პუბლიცისტური სტატიებისათვის. გათვალისწინებულია ყველგან მოეწყოს ფოტოგამოფენები. აი ზოგიერთი მათგანი: „ლენინის ანდერძით“, „ხალხი ისტორიის შემოქმედია“, „ლენინი ჩვენთანაა“.

მ. ვ. ზიმიანინმა აღნიშნა, რომ საყურადღებოა ლენინგრადის პრესის მუშაკთა გამოცდილება. მათ მოამზადეს საინტერესო მასალების სერია, რომლებიც შევიდა წიგნში „მატარებელი № 4001“. ეს წიგნი მოგვითხრობს იმ ქალაქებისა და დაბების დღევანდელ დღეზე, რომლებიც 1918 წლის მარტში გიჟარეს ვ. ი. ლენინმა და საბჭოთა მთავრობის წევრებმა, როცა პეტროგრადიდან მოსკოვში გადმოვიდნენ.

თურქმენეთის ჟურნალისტებმა მოაწყეს ერთი თვის ლაშქრობა ყარაყუმში. მათ შეაგროვეს მდიდარი მასალა რუსეთის წინათ ჩამორჩენილი განაპირა რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ. ახლა იქმნება წიგნი „ლენინი და ყარაყუმი“.

„პრავდა“ და „იზვესტია“ ეძებენ ლენინის ბელნაწერებსა და დოკუმენტებს. მიღებულია პირველი დამაიმედებელი შედეგები.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, თქვა მოხსენებელმა. წინ არის დიდი, გულმოდგინე და საინტერესო მუშაობა. ახლა გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის ყველა რედაქცია, საინფორმაციო ორგანოები ამზადებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების გაშუქების კონკრეტულ გეგმებს. ამ გეგმებს ადგენენ პარტიული აქტივის, მუშა და სოფლის კორესპონდენტების, მკითხველების მონაწილეობით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. დამწყრეთ შემოქმედებითი გეგმები გაუზიარეს გაზეთ „ლენინგრადსკაია პრავდას“ რედაქტორმა მ. ს. კურტინინმა, ჟურნალ „კომუნისტ უკრაინის“ რედაქტორმა ი. ე. პაშკომ, გაზეთ „ულიანოვსკაია პრავდის“ რედაქტორმა კ. პ. გაიდაშენკომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ა. მიხაილოვმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ა. ა. სოლოვიოვმა, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ი. ესენბაევმა, მოსკოვის ჟურნალისტთა ორგანიზაციის გამგეობის მდივანმა ვ. ვ. ბოსნ-ბრუევიჩმა, ჟურნალისტის ცენტრალური სახლის დირექტორმა ი. ი. ზოლინმა და სხვებმა.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომელშიც განსაზღვრულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების კონკრეტული ამოცანები. იმ ახალი დოკუმენტების შეკრების კეთილშობილური საქმე, რომლებიც გვიხატავენ ილიჩის სახეს, ხაზგასმულია დადგენილებაში, მრავალი წლის ჟურნალისტთა ლენინიანის განგრძობა საბჭოთა პრესის ყველა მუშაკის პასუხსაგები ამოცანაა.

პლენუმის მონაწილეთა სახელით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტთა ასოციაციას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ.

ქ. მოსკოვი.

125.000 ტონა ხილისათვის

ქართლის ბაღებსა და ზვრებში

ქართლის მიწაზე ბარაქიანი შემოდგომა ა. ყველგან გაჩაღებულია ხილისა და ყურძნის კრეფა. იმის შესახებ თუ რას აკეთებენ სახელოვანი მებაღეები და მევენახეები უხვი მოსავლის მისაღებად, მოთხრობილია გაზეთის ამ გვერდზე.

მეხილეები გვპირდებიან

გორი		ქარელი		ქასპი	
გეგმა	ვალდებულება	გეგმა	ვალდებულება	გეგმა	ვალდებულება
14.890 ტ.	16.000 ტ.	5.120 ტ.	10.000 ტ.	2.750 ტ.	3.000 ტ.

შარშან ქარელელმა მებილეებმა 1396 ჰექტარი მსხმოიარე ხეხილის ბაღებიდან საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 51 ცენტნერი ხარისხიანი ხილი ნაცვლად 45 ცენტნერისა, რითაც ხილის მოყვანის წლიური გეგმა 105,1 პროცენტით გაანაღდეს.

როცა ხილის მოყვანისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმების შესრულებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ რაიონის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები.

ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე ძლიერი — ბრეთის მებილეობის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტების მაგალითი. გასულ წელს ბუნებრივი პირობები სულაც არ მეტყველებდნენ ხილის უხვ მოსავალზე. საჭირო გახდა სხვადასხვა სამუშაოებში დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. პარტორგანიზაციამ (მდივანი ვ. სომხიშვილი) მჭიდროდ დარაზმა კომუნისტები ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის და მართლაც დიდ შედეგსაც მიაღწიეს. ბრეთელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.578 ტონა ხარისხიანი ხილი ნაცვლად 2.324 ტონისა.

წელს ბრეთის მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ბ. ჯაბაური) დიდი წვლილი შეიტანა ხილის უხვი მოსავლის მოყვანაში.

პარტიის ქარელის რაიკომის ბიუროს გადწყვეტილების შესაბამისად ბრეთელმა კომუნისტებმა ამას წინათ ლია პარტიულ კრებაზე განიხილეს საკითხი „ხილის მოსავლის აღებისათვის მზადებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულების შესახებ“.

კრების მიერ მიღებული დადგენილების შესასრულებლად დროულად მოიმარაგეს კიბეები და საკრეფლები. ხილის დაკეფის თავიდან აცილებისათვის საკრეფლებს შიგნით გამოაკრეს რბილი ქსოვილები, ეს ღონისძიება ხილის ხარისხიანობის მთლიანად შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ამავე დროს შეიქმნა ხილის ხარისხის შემმოწმებელი კომისია. ეს კომისია ხილის მკრეფავებს მოულოდნელად ამოწმებს. უხარისხოდ, დაუდევრად მოკრეფის შემთხვევაში მკრეფავი ვერ მიიღებს პრემია-დანამატს. ამის შედეგია, რომ დღემდე მოკრეფილი ხილის საშუალო ხარისხიანობა 95 პროცენტს აღწევს. ეს კარგი მაჩვენებელია.

თუმცა ბრეთელმა მებილეებმა პირველი გამარჯვება უკვე მოიპოვეს, საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 77 ცენტნერი კურკოვანი ხილი ნაცვლად 70 ცენტნერისა, აქ ძირითადი მაინც თეხლოვანი ხილია, რომელსაც 579 ჰექტარზე მეტი უჭირავს. ახლა წარმატებით იკრიფება ბანანი, ზამთრის ოქროს პარმენი, კანადური რენეტი, შაფრანი... ტონობით ხილი იგზავნება გადამმუშავებელი პუნქტისაკენ.

წელს დიდი ამოცანების წინაშე დგანან ბრეთელი მებილეები. ახლა ისინი 2.600 ტონა ხილისთვის ებრძვიან. ამ ვალდებულების გასანაღდებლად თავდადებით შრომობენ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე აგრონომის მუშა-მოსამსახურეები.

ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის წლის დასაწყისშივე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს ქარელის, დვანის, ანბისის კოლმეურნეობებმა, ბრეძის, რუისის, ბებნისის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა. წელს ამ მეურნეობებში ხილის მოსავალს კარგი პირი უჭირს.

ხილის ეს უხვი მოსავალი იმან განაპირობა, რომ ქარელის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები უნარიანად ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლას, პირადი მაგალითებით აღაფრთოვანებდნენ მასებს.

რაიკომის ბიუროს კი თავის მხრივ არაერთხელ განიხილა ვენახებისა და ხეხილის ბაღების დამუშავებისა და მათი შემდგომი განვითარების საკითხები. მიმდინარე წლის [illegible] რაიონში ხეხილის ბაღების დამუშავებისა და სიმეჩხრის ლიკვიდაციის მდგომარეობის შესახებ ბიუროზე საკითხი განსახილველად შემოიტანა სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ბ. შუბითიძემ. ბიურომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი რაიონის კოლმეურნეობებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რაიონში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული ხეხილის ბაღების გასაშენებლად. ამიტომ არის, რომ უკვე ბაღების საერთო ფართობმა 7000 ჰექტარს მიაღწია.

ქარელის რაიონის მშრომლები ერთი წუთითაც არ იეწყებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა 1968 წლის სოციალისტურ ვალდებულებებს. მაშინ ამ თაობიდან რესპუბლიკის მებილეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 125 ათასი ტონა ხარისხიანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 122 ათასი ტონისა.

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მებილეთა თაოსნობას. თაობიდან მასალების გამოკვეყნების დღიდან უფრო ენერგიულად და კონკრეტულად მოჰკიდეს ხელი პრაქტიკულ საქმიანობას.

ჩვენი რაიონის მებილეები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით უთუოდ შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, სამშობლოს მისცემენ 10.000 ტონა ხარისხოვან ხილს.

ქიწნისის პრეზიდიუმი...

ვარიანის საბჭოთა მეურნეობის ვაშლის მკრეფავები (მარცხნიდან) თ. ტურაშვილი, ლ. ნასყიდაშვილი და მესამე აგრონომი უფროსი ა. ქვებულიძე. ფოტო ბ. დადვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გორის რაიონში ქიწნისის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ძველი მეურნეობაა.

გასული სამეურნეო წელი წარმატებით დავამთავრეთ. სახელმწიფოს მიეყიდა 1.602 ტონა ხარისხიანი ხილი ნაცვლად 1.114 ტონისა. სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით გასულ წელს მეურნეობამ მიიღო საქართველოს სკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს საიუბილეო სამახსოვრო დრამა.

ეს წარმატებები, უწინარეს ყოვლისა, მიღწეულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში აგროტექნიკის ფართოდ დანერგვით. ყოველთვის მაღალხარისხოვნად და დროულად ტარდებოდა ისეთი ღონისძიებები, როგორიც არის ბაღების რიგთაშორის დამუშავება, გასხვლა, რწყვა და სხვა სამუშაოები.

მეურნეობის დირექცია, აგრონომი ყოველი ღონისძიებით ცდილობენ დანერგონ ქიწნისის მეურნეობაში მეცნიერებისა და აგროტექნიკის უკანასკნელი მიღწევები. 1964-1967 წლებში 90 ჰექტარზე ჩავატარეთ ხანში შესული ბაღების გამაახალგაზრდავებელი გასხვლა, რამაც [illegible] ერგი შედეგი გამოიღო. ხეხილის ნარგავებმა ამოიყარეს ახალი ყლორტები, მათი მოსავლიანობა დაახლოებით 30 პროცენტით გაიზარდა.

1970 წლისათვის მეურნეობას იქნება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 630 ჰექტარი ხეხილის ბაღი. ჩვენ ამ დავალებას 1969 წლისათვის შევასრულებთ. ამასთანავე წელს გადაწყვეტილი გვაქვს 10 ჰექტარზე საცდელად გავაშენოთ ხეხილის ბაღი პალმეტური წესით. საამისოდ უკვე მომზადებულია პლანტაჟი, მიღებულია ზომები ნერგის მიღებისა და დროულად დარგვისათვის. გადაწყვეტილი გვაქვს ამ ბაღს ისე მოვუაროთ, რომ მივიღოთ ნარგაგთა სასურველი სისტემა, რომ ჰექტარზე უზრუნველვყოთ დაახლოებით 300-400 ცენტნერი ხილის მიღება.

მეხილეობა მეურნეობის წამყვანი და გადამწყვეტი დარგია. ეს იქიდან ჩანს, რომ შარშან მიღებული საერთო ფულადი შემოსავლის 80 პროცენტი მარტო მეხილეობაზე მოდის, ამიტომ ეცდილობთ წავახალისოთ ამ დარგში მომუშავე მუშები, მექანიზატორები და აგროპერსონალი. დანერგილია შრომის ანაზღაურების პრემიალური სისტემა. მარტო გასულ წელს 106.600 მანეთი პრემია გაიცა.

მეურნეობის კოლექტივი პირობას იძლევა მოიპოვოს ახალი წარმატებები და ღირსეულად შეხვდეს დიდ ისტორიულ თარიღებს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

ა. ჯავახიშვილი,
ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ქოშუნისტები — ავანგარდში

ი. ტოლიაშვილი,
პარტიის ქარელის რაიკომის პირველი მდივანი.

◆

ცენტნერისა, რითაც ხილის მოყვანის წლიური გეგმა 105,1 პროცენტით გაანაღდეს.

როცა ხილის მოყვანისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმების შესრულებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ რაიონის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები.

ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე ძლიერი — ბრეთის მებილეობის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტების მაგალითი. გასულ წელს ბუნებრივი პირობები სულაც არ მეტყველებდნენ ხილის უხვ მოსავალზე. საჭირო გახდა სხვადასხვა სამუშაოებში დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. პარტორგანიზაციამ (მდივანი ვ. სომხიშვილი) მჭიდროდ დარაზმა კომუნისტები ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის და მართლაც დიდ შედეგსაც მიაღწიეს. ბრეთელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.578 ტონა ხარისხიანი ხილი ნაცვლად 2.324 ტონისა.

წელს ბრეთის მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ბ. ჯაბაური) დიდი წვლილი შეიტანა ხილის უხვი მოსავლის მოყვანაში.

პარტიის ქარელის რაიკომის ბიუროს გადწყვეტილების შესაბამისად ბრეთელმა კომუნისტებმა ტონას ვარაუდობენ ნაცვლად 648 ტონისა.

გორის რაიონში ხურვალეთელებს ბევრი მეტოქე ჰყავთ. თავიანთი ხეხილის ბაღებით ამაყობენ ვარიანის, ქიწნისის, კარალეთის, ბერბუკის, შინდისის საბჭოთა მეურნეობები და ტყვიავის სანერგე მეურნეობა. მათს ბაღებში მოკრეფილი ხილის 80-90 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ხილის ასეთი მსხმოიარობა წინათ იშვიათად თუ ყოფილა გორის რაიონში! კარგ მოსავალს გორელები უფრო გაუხალისებია. ახალგაზრდული ენერგიით შრომობს მერეთელი 65 წლის მოხუცი ილია საბაშვილი. მას რომ წლევანდელ მოსავალზე გამოელაპარაკებით, წუთით ჩაფიქრდება და დამაჯერებლად გეტყვით:

— მერეთი, ჩემი კეთილო, ოდითგანვე განთქმული იყო ხეხილის ბაღებით. გორის რაიონში თითქმის პირველად აქ ჩაეყარა საფუძველი მეხილეობას. ერთი ეგ არის, რომ მაშინ ხილის ასეთი დიდი ბაღები არა გვქონდა. იზარდა, იზარდა და ახლა 285 ჰექტარი გვაქვს. ამბობენ, ხუთწლედის ბოლოსათვის 325 ჰექტარი იქნებაო. მეტიც რომ იყოს, ცუდი არ იქნება. სოფელი მრავლდება. ჩვენი თავმჯდომარე ტარიელ კორაშვილი ყოჩაღი კაცია, მაგრამ მარტო ეგ ვერაფერს გაზდება, თუ წლის მოსავალი ყველამ არ გავზარდეთ. კრებაზე თქვეს: წელს 10.000 ცენტნერზე მეტს მოკრეფთ ნაცვლად 6.480 ცენტნერისა. ეს კარგია. ყველა ქმაყოფილი ვართ. სოფლის ახალგაზრდებიც დიდ მრომას ეწევიან ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

გავესაუბრეთ ბაღში მყოფ ახალგაზრდებს გოგი ელიავშვილს, ნანული გორგიშვილს, ლიანა ბაიაძეს, ზაქარია გუგუტიშვილს, ოთარ ბაიაძეს და სხვებს. თვითეული ბეჯითად შრომობს და დღეში 500-600 კილოგრამ ვაშლს კრეფს.

ხილის სანაქებო მოსავალი აქვთ ფლავის, ძეკერის, ახალუბნის, მეჯვრისსვეის, ტყვიავის, ნიქოზის, კარბის და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს.

ნიქოზელების ხეხილის ბაღები ავთვალს არ ენახვება. აქ წელს ხილის უხვ მოსავალს მიიღებენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. ყანჩაველმა მოწინავე მეხილეები ს. ესიაშვილი, გ. მაზანანაშვილი, ნ. ნამორაძე, გ. ესიაშვილი, ლ. მელანაშვილი, მ. და ს. ლაზარაშვილები, გ. ძამუკაშვილი და სხვები დაგვისახელა და თქვა, რომ წელს წარმატებით შეასრულეს ვაშლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს, სამშობლოს მივიტანეთ 320 ტონა ხარისხოვან ხილს.

კარბის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რაჟდენ კაპანაძემ მოწინავე მეხილეები გიორგი ბიძინაშვილი, შიო ანიაშვილი, ივანე გვიმრაძე, ლევან ბიძინაშვილი, ვერა მარიამაძე, ნინო გვიმრაძე გაგვაცნო და მტკიცედ გვითხრა:

—კარბელებს 100 ჰექტარი მსხმოიარე ბაღი გვაქვს. ამ ფართობიდან 600 ტონა ხარისხიან ხილს მივიღებთ ნაცვლად 450 ტონისა.

ბევრი, ძალიან ბევრი კარგი შეიძლება ითქვას გორის რაიონის მებაღეებზე და მათ მიერ მოყვანილ ხილზე. გორელების ხეხილის ბაღებს 14.330 ჰექტარი უჭირავს. აქედან მსხმოიარეა 2.823 ჰექტარი. ხუთწლედის ბოლოსათვის გორელების ხეხილის ბაღი 15.710 ჰექტარს გადააჭარბებს და წინასწარი გაანგარიშებით 78.500 ტონა ხილს მოკრეფენ.

ხმსნლის ბაღების გაშენებასა და მოსავლიანობის გადიდებაში გორელებს ხსარდამხარ მიპყვება ქარელის რაიონი. მარტო ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დათვალიერება ერთ დღეს მანქანითაც გაჭირდება. აქ სარწყავი არხების სიგრძე ერთად აღებული 80 კილომეტრია. მეურნეობის 4 აგრონომნში წელს 2.600 ტონა ხილს მოელიან.

კარგად მომზადებულან ბრეთელები ხილის აღებისათვის. ჭარბად მოუმარაგებიათ საჭირო ინვენტარი. იკრიფება ბანანი, ზამთრის ოქროს პარმენი, კანადური რენეტი. ტონებს ტონები ემატება. ყველა ბეჯითად შრომობს და იბრძვის ვალდებულების გასანაღდებლად.

ხილის უხვი მოსავლით ხარობენ „ქარელის“, ქვემო ხვედურეთის, დირბის, დვანის კოლმეურნეობების მშრომელები, ბრეთის, რუისის, ბებნისის და სხვა საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეები.

ბარაბანი შემოდგომაა ქართლის მიწაზე. გზებსა და ორლობეებში მხოლოდ საკოლეურნეო დოვლათით დატვირთულ ტრანსპორტს შეხვდებით. ეს-ეს იყო გზა აგვიქცევს კასპის რაიონის ავტოკანტორის სატვირთო ავტომანქანებმა. მათი ძარები კასპური ხილით არის სავსე და გადასამუშავებლად პუნქტისაკენ მიაქვთ.

წელს კასპელებმა კურკოვანი ხილის დამზადების საქმეში უკვე ისახელეს თავი, სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.916 ტონა ხილი ნაცვლად 1.120 ტონისა. ახლა მთელი ძალები მიმართულია იქით, რომ ასევე სასახელო მაჩვენებლები მოიპოვონ თესლოვანი ხილის დამზადებაში. კასპელების გადაწყვეტილებაა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 200 ტონა ხარისხოვანი ხილი.

ახლა ქვემო გომის, ქვემო ჭალის, ზემო ხანდაკის, ყარაღაჯის კოლმეურნეობებში, კოდისწყაროს და სხვა საბჭოთა მეურნეობებში შეუფერხებლად იკრიფება არომატული ხილი. კასპელები კარგად მომზადებულან ხილის მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის.

იკრიფშმა ქართული ხილი და ასობით ტონა იგზავნება ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. ბარაქიანი შემოდგომის მადლით უფრო დამშვენდება მშრომელთა სუფრა და გულით შეაქებენ მაღლიან მიწაზე მოკრეფილ არომატულ ხილს — ქართლის მშვენებასა და ბარაქას!

რ. გასილაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: მარცხნივ — ქარელის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობის ხილის მკრეფავი ლეილა ბადუაშვილი და გორის რაიონის ნიქოზის კოლმეურნეობის მოწინავე მეხილე ნ. მელანაშვილი.
ფოტო ავტორისა.

რევორტაჟი

დალოცვილო ქართლის მინავ!

ლოყაწითელ ბანანებს ჯერ კიდევ ფოთლის ნამი არ შეშრობიათ. ტოტებიდან გვიმზერენ და თავს გვაწონებენ. ზოგს ბორდოს ხსნარით დაჭორფლილი ფოთლები მოუფარებია. ამ ვაშლის ხეს იმდენი მოუსხამს, რომ დაუნძღულ ტოტებს ბოძკინტები დაუმტვრევია.

მსხმოიარე ვაშლის ხეების სიუხვეა ტირიფონის ველზე. მათ თითქოს ერთიმეორის ჯიბრით მოუსხამთ ტკბილი ნაყოფი და პაერი არომატული სურნელებით გაუჟიენთავთ. ყველა კარგია, რომელს შეეუქოთ ფესვები. მაგრამ ერთს უთუოდ იტყვით: ეს „ზღვა“ მოსავალი რა ხელმა უნდა მოკრიფოსო. როცა რიგთაშორისებში მდგომ ვაჟკაცებს გაეცინო, ეჯერ, რომ ადამიანს რაც მოუნაგრეია, უპატრონებს კიდეც...

მიხეილ წკრიალაშვილი, შუბლგახსნილი და გაღიმებული რომ შემოგვეგება, აქ მოსვლამდე გამაცნო ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ივანე აბაიაძემ. მზისგან გარუჯულ ჭაბუკს ხელი ჩამოვართვით და არ შევეკითხეთ ხილის მოსავლიანობის შესახებ, რადგან ივანემ ადრევე გვითხრა, საშუალოდ ჰექტარზე 52-ის ნაცვლად 120 ცენტნერს კრეფსო. მის ბრიგადაში მოიკრიფა ვაშლის პირველი ტონები.

ბაღში მისვლამდე ისიც ვიცოდით, რომ მიხეილისთანა გამრჯე ადამიანი ბევრია ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობაში. ნიკოლოზ ხუროშვილის ბრიგადაში საშუალოდ ჰექტარზე 150 ცენტნერი ვაშლი იკრიფება ნაცვლად 51 ცენტნერისა. ხილის საუკეთესო მოსავალი მოუყვანიათ აგრეთვე ლავრენტი ფსუტურს, ვლადიმერ გაგლოევს და მრავალ სხვას.

ამ საბჭოთა მეურნეობაში 1.014 ჰექტარი ხეხილის ბაღი ახლა საგულდაგულოდ აქვთ დამუშავებული. ბაღისთვის არ მოუკლიათ არც წყალი, არც შეჯამლა და არც სხვა სამუშაოები. თავის მხრივ არც ხილის ხეები დარჩენილან ვალში. ჯერ იყო და, კურკოვანი ხილი 214 ტონა მიჰყიდეს სახელმწიფოს ნაცვლად 100 ტონისა. ახლა კი 180 ჰექტარი თესლოვანი ხეხილის ბაღებიდან 1.200 ტონას ელოდებიან ნაცვლად 648 ტონისა.

გეგმა 5.491 ტ. — ვალდებულება 6.000 ტ.

მევენახეები გვპირდებიან

მცხეთელთა გაღაღუვებელი ლეგა

გ. კავთიაშვილი,
საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი.

◆

ხოთველმა შემოაბიჯა ქარვისფერ ზვრებში. ერთიმეორეს მიჰყვებიან ყურძნით დატვირთული ავტომანქანები.

ქართველ მევენახეებს მხარში უდგანან მცხეთელი ვაზის ოსტატები. შარშან მცხეთელმა მევენახეებმა ყურძნის დამზადების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ეს მიღწევები ერთგვარ სტიმულად იქცა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა, მშრომელებმა უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდეს ხელი ვენახების დამუშავებას. მცხეთელების ზვრებში ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს. წელს გეგმით მცხეთელებმა 5.491 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს. მაგრამ მევენახეებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს 6.000 ტონა ყურძენი ჩააბარონ.

კვლავ მხარში უდგას თანამემამულეებს და ბირად მაგალითს უჩვენებს შრომაში ყურძნის მოვლა-პატრონობის სახელოვანი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ფ. სოხაშვილი.

ყურძნის კრეფა დაიწყო მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 400 ტონაზე მეტი ყურძენი. მაღალი შრომითი მონაცემები აქვთ მეორე და მეექვსე აგროუბნების მშრომელებს, რომლებსაც ი. მაჭავარიანი და კ. გამყრელიძე ხელმძღვანელობენ. ვინ არ იცნობს შრომის ნოყიერ დროშის ორდენოსან მ. ჯაგვაძესა და რ. ბულაცაშვილს. ისინი მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მოწინავენი არიან.

არსებობის რამდენიმე წელს ითვლის ნატახტრის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ პატარა როდია მათი შრომითი მაჩვენებლები; წელს განსაკუთრებით იმარჯვეს ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ნატახტრელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 80 ტონაზე მეტი ყურძენი. ეს მხოლოდ დასაწყისია. მათ. მხარდამხარ მიჰყვებიან ნოყიერის სასელექციო სადგურის მევენახეები, რომლებმაც შერჩევითი კრეფის პირველ დღეებში სახელმწიფოს 70 ტონა ყურძენი მიჰყიდეს.

კოლმეურნეობებს შორის პირველობას არავის უთმობენ საგურამოელი კოლმეურნეები. მათ მოკრიფეს 75 ტონა ყურძენი. სამაგალითოდ მოვლილი და მტევნებდახუნძლული ვენახები საფუძველს გვაძლევს ვთქვათ საგურამოელთა წარმატებებზე. დაკისრებულ მოვალეობას კარგად ართმევს თავს მოწინავე კოლმეურნე შ. ჩოჩიშვილი. იგი კომუნისტური შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა:

ყურძნის კრეფის საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვთ ძალისისა და მუხრანის კოლმეურნეობებს, აგრეთვე მუხრანის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებს და სხვ.

წარმატებით მიმდინარეობს მოსახლეობის ჰიერ სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვა. მცხეთელ მევენახეთა პირობაა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა და ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულონ.

რთველის ფინ

ეულ რაიონის მევენახეები იმისათვის იბრძვიან, რომ სამშობლოს მისცენ მეტი და მაღალი ხარისხის ყურძენი. მათ გასული წლის შემოდგომიდანვე დაიწყეს ბრძოლა ყურძნის უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად.

ვენახების დამუშავების საქმე განსაკუთრებით კარგად მოაწყეს ოკამის და ქსნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა, კოდისწყაროს მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ და ქვემო ჭალის, დოესის, ხოვლეს, ზემო ხანდაკის და სამთავისის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ვენახებში სამუშაოები მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარეს. ამით შექმნეს საფუძველი იმისა, რომ რაიონმა წელს გადაჭარბებით შეასრულოს ყურძნის როგორც წარმოების, ისე სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

ახლა კრეფისათვის ყოველმხრივ მზად არიან რაიონის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. მათ

გეგმა 4.586 ტ. — ვალდებულება 5.000 ტ.

ვამრავლოთ ტკბილი ნაყოფი

ქასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობის წევრები, სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევენ ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობას და მათი ფართობების შემდგომ ზრდას. წელს, ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე, დავიწყეთ ხეხილის ბაღებში რიგთაშორის ნიადაგის დამუშავება და ნარგავების წყლობა. არ დავაკლეთ მზრუნველი ხელი არცერთ ძირს და ამიტომ არის, რომ ახლა თვალს ახარებს ვაშლის ნაყოფით დახუნძლული ტოტები.

ეს ძვირფასი კულტურა ქვემოჭალელებს 193 ჰექტარზე აქვთ გაშენებული, აქედან მსხმოიარეა 45,5 ჰექტარი. ახლა წარმატებით მიმდინარეობს კანადური რენეტის, ყვითელი ბელფლორის, შაფრანის და სხვა ჯიშების კრეფა და გადამუშავება. წელს გეგმით ჰექტარზე 50 ცენტნერი ვაშლი უნდა მოვკრიფოთ, ფაქტიურად მივიღეთ 60 ცენტნერს, სახელმწიფოს მივყიდით 500 ტონა ხარისხოვან ხილს ნაცვლად 280 ტონისა.

ხილის მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის კარგად მოემზადა კოლმეურნეობის გამგეობა, მოვიმარაგეთ კიბეები, საკრეფლები, ტარა. ახლა ხილის კრეფაზე ენერგიულად შრომობენ გ. სისაური, მ. სომხიშვილი, ოლია ფიცხელაური, სონია ხუტეშვილი, მეხილეობის ბრიგადის ბრიგადირი უ. ფრუთეძე და სხვები. ისინი კრეფის დღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. კვლავ დიდი სამუშაოებია გაჩაღებული. მიმდინარე ხუთწლედში ჩვენს კოლმეურნეობაში ხეხილის ბაღების ნარგავები 260 ჰექტარს გადააჭარბებს.

ჩვენი მიზანია აგროღონისძიებების განხორციელებით ხილის მოსავლიანობა ჰექტარზე 100 ცენტნერამდე ავიყვანოთ, ხოლო ხარისხიანობა — 95 პროცენტამდე.

ა. ბუდაღაშვილი,
ქვემო ჭალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბორჯომელთა წვლილი

ბორჯომი. (საკ. კორ.). ამ სახელის გაგონებაზე მთები და ნაძვებში ან ფიჭვებში ჩაფლული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები გაგვახსენდება. მაგრამ თუ ახლოს გაეცნობით ბორჯომის რაიონს, დარწმუნდებით, რომ კურორტებთან ერთად დიდად არის განვითარებული სოფლის მეურნეობის დარგებიც.

რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 308 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად 254 ტონისა, ახლა ჯერი თესლოვან ხილზე მიდგა. ბორჯომელი მეხილეები გვპირდებიან, რომ წელს თესლოვანი ხილის გეგმას პირნათლად შეასრულებენ, სახელმწიფოს მიჰყიდიან 535 ტონა ხარისხოვან ხილს.

იკრიფება ვაშლი, ყურძენი

ხაშური. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა ხილის დამზადებაში პირველი წარმატება უკვე მოიპოვეს, სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.576 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად 1.210 ტონისა. შეუფერხებლად მიმდინარეობს თესლოვანი ხილის კრეფა და დამზადება.

ხილს ორგანიზებულად კრეფენ ალის საბჭოთა მეურნეობის 6. ჩუბინიძის აგროუბნის მშრომელები, კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ ვ. ოგანოვის ბრიგადის წევრები და სხვები. ხაშურელი მეხილეები წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 410 ტონა თესლოვან ხილს ნაცვლად 350 ტონისა.

მეხილეებს არც მევენახეები ჩამორჩებიან. მათ გეგმით 2.536 ტონა ყურძენი უნდა მოკრიფონ, მაგრამ ახლა ისინი იბრძვიან 2.750 ტონა ყურძნისათვის. ბარაქიანი რთველია ხაშურის რაიონში.

საკრებულო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები

მსოფლიოს დეპეშაა
საკაგენტოები გვატყობინებენ

ერთიანი
გიგლიოთეკა

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

ამ დღეებში მშრომელი ჩეხოსლოვაკია თავისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. როგორც ჩეხოსლოვაკიის პრესა იუწყება, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების საქმიანობა, ისევე როგორც წინათ, წარართულია რესპუბლიკის ეკონომიკის განსამტკიცებლად, მოსახლეობის მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ქვეყნის საგარეოსავაჭრო ვალდებულებათა შესასრულებლად.

ამ დღეებში აღინიშნა რკინიგზელის დღე, გაიმართა ახალგაზრდა მშრომელთა საერთო სახელმწიფო კონფერენცია. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ მიიღო სტუდენტთა დელეგაცია, აგრეთვე ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას, რომელიც ევროთანამეგობრული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის მიემგზავრება. ეროვნული კრების საგეგმო და საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1969 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ჩეხოსლოვაკიის ვითარების ნორმალიზაციის დაწყებიდან დაახლოებით ერთი თვე გავიდა. თუ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების დარგში ამ დროის მანძილზე ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მეცადინეობით შესამჩნევი დადებითი შედეგებია მიღწეული, სანინაო პოლიტიკური ცხოვრების დარგში გაჯანსაღების პროცესი ნელა მიმდინარეობს, აწყდება ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგობას.

ეს ძალები ახლანდელ პირობებში, როცა აშკარად ვეღარ გამოდიან, ცდილობენ თავიანთი ტაქტიკის, იყენებენ ბირკამმთხრელი საქმიანობის ახალ ფორმებს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, სოციალიზმის მტრული ძალები ცდილობენ თავიანთი ანტიხალხური მიზნებით გამოიყენონ „ეროვნული ერთობის“ ლოზუნგი, ანიჭებენ მას უკლასო ნაციონალისტურ ხასიათს. ამ ლოზუნგის საფარით ისინი ქმნიან „მორალური ტერორის“ ვითარებას პატიოსანი კომუნისტებისა და პატრიოტების წინააღმდეგ, ცდილობენ მწყობრიდან გამოიყვანონ და სახელი გაუტეხონ იმათ, ვინც თანამიმდევრულად უჭერს მხარს მოსკოვის გადაწყვეტილებებს, ვისთვისაც ძვირფასია სოციალიზმის ინტერესები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში. ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა დევნიან, აიგწროებენ და სამუშაოდან აძევებენ ისეთ ადამიანებს, როლებიც კრებებზე ამხილებენ მემარჯვენე კონტრრევოლუციური ძალების საქმიანობას და აღნიშნავენ იანვრის-შემდგომ პერიოდში დაშვებულ შეცდომებს.

კონტრრევოლუციური კლუბებისა და ორგანიზაციების ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, მათი საქმიანობა გრძელდება არალეგალურ საფუძველზე. მაგალითად, „კლუბ-231“-ის წევრებმა იატაკქვეშეთში ხელახლა აირჩიეს თავიანთი გამგეობა. თავმჯდომარედ არჩეულია ვინმე ნიგრინი. ლონდონში ამჟამად არსებული კლუბის მდივნის ბროდსკის სამუალებით მათ კავშირი აქვთ იმპერიალისტურ დაზვერვებთან, ხვეწენ ახალ პირობებში ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებს. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შიგნით ამ „კლუბის“ აგენტები ქმნიან ტერორისტულ ჯგუფებს, რომლებსაც ამოცანად უსახავენ გარკვეულ სიტუაციაში „მორალური ტერორიდან“ გადავიდნენ შეიარაღებულ „თეთრ ტერორზე“.

კონტრრევოლუციური ძალების ახალი ტაქტიკისათვის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში და იმათთვის, ვინც მათ გარდან მფარველობს, დამახასიათებელი გახდა ყოველგვარი ხმებისა და ჭორების გავრცელება. ეს ხორციელდება გარკვეული მიზნით — გამოიწვიონ ნერვიულობა, გულგატეხილობა ქვეყანაში, ხელი შეუშალონ საშინაოპოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღების პროცესს, პროვოკატორები იყენებენ თავისსავე გავრცელებულ ყალბ ხმებს სხვადასხვა რეზოლუციის, პროტესტისა და წერილის შესაკოწიწებლად, რომლებზეც ხელს აწერინებენ მოტყუებულ და დეზორიენტირებულ ადამიანებს.

ამ წამქეზებლურ ტაქტიკას ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიმართ ახორციელებს, ხშირად კი შთააგონებს იმპერიალისტური პრესა და რადიო. ამ ბოლო ხანს, მაგალითად, ისეთი გაზეთები, როგორიცაა ლონდონის „ობსერვერი“ და „სანდი ტაიმსი“, რადიოსადგურები „ბი-ბი-სი“, „გერმანიის ტალღა“ და „ამერიკის ხმა“, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ სავსეა ყოველგვარი ხმებითა და მონაჩმახებით ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობის შესახებ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან ინგლისში, დასავლეთ გერმანიასა და ავსტრიაში გაქცეულ ისეთ გარეწართა გამოსვლებით, როგორიც არიან პრაღის ტელევიზიის კომენტატორი ვინტერი, ჟურნალისტი მუხა, რომელიც ოდესღაც უკვე იყო „ბი-ბი-სის“ კომენტატორი, და იგივე ბროდსკი. სულ ახლახან კი ეს ადამიანები, როცა პრაღაში იყვნენ, თავს „ზეპატრიოტებად“ ასაღებდნენ. დღეს ისინი ახრულებენ ლაქიების როლს ბურჟუაზიულ პროპაგანდისტულ სამზარეულოში.

ამგვარად ასე ამხილებენ მემარჯვენე კონტრრევოლუციური ძალები თავს ჩეხოსლოვაკიელი ხალხისა და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის თვალში როგორც სოციალიზმის მოწინააღმდეგენი, ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა ძირეული ინტერესების მოღალატენი.

საკდესი, 1 ოქტომბერი.

მსოლოდ ფაქტები

● **ნიუ-იორკი**, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 23-ე სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაუროობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო.**

აგავე დროს ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ უკრაინის სსრ დელეგაცია უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის **დ. ზ. გელოკოლოსის** მეთაურობით და გელორუსიის სსრ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გელორუსის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ე. გურინოვიჩი.**

● **პარიზი**, 2 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა მორიგი, 24-ე ოფიციალური საუბარი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა წარმომადგენლებს შორის.

● ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). პანამაში გაიმართა საზეიმო ცერემონია არნულფო არიასის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის დაკავების გამო. 67 წლის არნულფო მადრიდ არიასი პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა ოპოზიციურმა ეროვნულმა კავშირმა — ბურჟუაზიული პარტიების ბლოკმა. მიმდინარე წლის 12 მაისს პრეზიდენტის არჩევნებში მან დაამარცხა მთავრობის კანდიდატი დავიდ სამუდა.

● **ბაღდადი**, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ბაღდადის 5 საერთაშორისო ბაზრობის ტერიტორიაზე, რომელიც გუშინ აქ გაიხსნა, ფრიალებს 22 ქვეყნის ეროვნული ალმები, ბაზრობის მონაწილე ქვეყნებს შორის არიან ალჟირი, ავსტრია, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, ინდოეთი, ირანი, იორდანია, კუვეიტი, პაკისტანი, სირია, საბჭოთა კავშირი, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და სხვ.

● ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). პერუს მთავრობა პრემიერ-მინისტრის ოსვალდო ერსელიეესის მეთაურობით გუშინ გადადგა. ამ მთავრობამ ხელისუფლების სათავეში ოთხიოდე თვე დაჰყო.

ბელგიელებისა და ვარდნების ქალაქები

ირანი ტაშს უკრავდა საბჭოთა მუსიკოსებს

ორნახევარი ათასი კილომეტრი სიგრძის საზღვარი გადის საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის. და საგულისხმოა, რომ ეს საზღვარი ჩვენს ხალხებს არა თუ პყოფს ერთმანეთისაგან, არამედ სულ უფრო აახლოებს. ყოველწლიურად მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა ორ მეზობელ ქვეყანას შორის.

ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია შირაზი, რომელსაც ირანელები ეროვნული კულტურისა და განათლების აკვანს ეძახიან. ტყუილად როდი ამბობენ, შირაზი ვარდებისა და ბულბულების ქალაქი, პოეტების დედაქალაქიაო. მას უმღერდნენ საადი და ჰაფეზი, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ და აქვე განისვენებენ.

და აი ეს სპარსული პოეზიის დედაქალაქი ამას წინათ ორი კვირის განმავლობაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის მუსიკალურ მექას მოგაგონებდათ. ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 22 ქვეყნიდან ჰქონ ჩამოვიდნენ კომპოზიტორები, მუსიკოსები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი შირაზის ხელოვნების მეორე საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის.

განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი რუსული კლასიკური და საბჭოთა მუსიკისადმი და საბჭოთა მუსიკოს შემსრულებლებისადმი.

უძველესი სპარსული სასახლის სვეტებიან დარბაზში ოდესრდა ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია რომელიც შეასრულა თეირანის რუდაქის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა. ირანელი მუსიკის მოყვარულნი ცხოველი ინტერესით მოელოდნენ აგრეთვე საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის არფების კვარტეტის გამოსვლას, რომელიც ერთადერთია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში.

შირაზში ჩასვლისთანავე ალა ბუზკოვა, მარინა სმირნოვა, ოქსანა გოლუბჩენკო და ნატალია კოჩურინა სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდნენ. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში მათ აცნობეს, რომ არფების საბჭოთა კვარტეტის კონცერტზე უყველა ბილეთი დიდი ხნით ადრე გაყიდულიყო. და მართლაც, კონცერტის დღეს შირაზის უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. კვარტეტის მიერ შესრულებულ ყოველ ნომერს მჭუხარე ოვაციით ხვდებოდნენ.

„ლამაზი რუსი ქალების კვარტეტმა თავისი მდელვარე მუსიკით გააოცა მაყურებელი“, წერდა ყურნალი „როუშანფეკრი“ („ინტელიგენტი“). ვრცელი რეცენზიები გამოაქვეყნეს აგრეთვე ცენტრალურმა გაზეთებმა და ჟურნალებმა.

„გაოცებული ვარ არფების საბჭოთა კვარტეტის ვირტუოზულობითა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, — განაცხადა კონცერტის შემდეგ ცნობილმა კომპოზიტორმა ფარჰადმა, — მსოფლიოში შეორე ასეთი ანსამბლი არ არის, და მომეცა საშუალება გავცნობოდი მას“.

XIV საუკუნის უდიდესი ლირიკოსის ჰაფეზის საფლავთან გაიმართა ინდოეთის, პაკისტანის, იაპონიის, ირანის და სხვა ქვეყნების ეროვნული ორკესტრების კონცერტები. ღია ცის ქვეშ გამოდიოდნენ მოცეკვავეთა და მუსიკალური ანსამბლები. კინოთეატრებში უჩვენებდნენ მრავალი ქვეყნის ფილმებს. მორიგი ფესტივალი გაიმართება 1969 წლის სექტემბერში. როგორც ფესტივალის ხელმძღვანელმა დოქტორმა ბუშეჰრიმ განაცხადა, მრავალი ქვეყნის ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა ასეთი ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი ხელს უწყობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურების დაახლოებას.

• • •



სურათზე: მსოფლიოში ერთადერთი არფების კვარტეტის გამოსვლა. მარცხნიდან — ნატალია კოჩურინა, ოქსანა გოლუბჩენკო, მარინა სმირნოვა და ალა ბუზკოვა.

საკდესის ფოტოკორონიკა.

მეგობრობის ნათელი დადასტურება

თეირანი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის ახლანდელი ოფიციალური ვიზიტი, მისი შეხვედრები და საუბრები საბჭოთა ხელმძღვანელებთან და მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, აცხადებენ ირანის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში, მკაფიოდ მოწმობს ორი ქვეყნის მისწრაფებას განამტკიცონ და გაალრმავონ კეთილმეზობლობა, ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა.

შაჰის ვიზიტს ფართოდ განმარტავს თეირანის პრესა. გაზეთი „მარდე მობარეზი“ აღწერს ირანელი სტუმრების მოგზაურობას ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, მკითხველებს დაწვრილებით აცნობს საბჭოთა ადამიანების წარმატებებს, რომლებიც მათ მოიპოვეს ამ რაიონების კეთილმოწყობასა და ინდუსტრიალიზაციაში.

ფოტოობიექტივში ირანი

მეზობელ ირანში სსრ კავშირის დახმარებით შენდება ისპაჰანის მეტალურგიული ქარხანა. საბჭოთა სპეციალისტებმა საპროექტო დავალება ჯერ კიდევ შარშან შეასრულეს. ახლა საძირკველი ეყრება 1.033 კუბური მეტრი მოცულობის ბრძმედს, საკოქსე ბატარეას, გაჰყავთ რკინიგზა. მთავრდება სამშენებლო ბაზის აგება.

ისპაჰანის ქარხანას ექნება სრული მეტალურგიული ციკლი.

სურათზე: ქვაბურის მშენებლობა ქარხნის პირველი ბრძმედისათვის.

საკდესის ფოტოკორონიკა.



ისპაჰანი (სპარსეთის ყოფილი დედაქალაქი) ირანის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია. ქალაქში შესანიშნავად ერწყმიან ერთმანეთს თანამედროვე და უძველესი არქიტექტურის შენობები.

სურათზე: ახალი სასტუმრო. იგი მდებარეობს ქალაქის ყველაზე უდიდესი მეჩეთის ჩაჰარ ბაღეს მახლობლად. (მისი მოხატული თაღი მოჩანს სასტუმროს თავზე).

საკდესის ფოტოკორონიკა.

ამერიკულად მართლმსაჯულება

ვაშინგტონი, 2 ოქტომბერი. (საკდესის კორესპონდენტი ვ. კოლტონი იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის უზადლებულმა ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელმა კომისიამ დაიწყო „ძირგამოთხრილი ელემენტების“ საქმის გამოძიება, რომლებიც დემოკრატიული პარტიის ყრილობის მუშაობის დღეებში ჩიკაგოს ქუჩებში მოაწყვეს ილეგალურ მასობრივ დემონსტრაციებში.

როგორც ცნობილია, აგვისტოს დამლევს ჩიკაგოში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგები და მანიფესტაციები ამერიკელი ახალგაზრდობისა, რომელიც პროტესტს აცხადებს ვიეტნამში აგრესიისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების ანტიდემოკრატიული პროცედურის წინააღმდეგ.

მთელი სახელმწიფოს მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ პოლიცია ჩიკაგოს მერის დელის ბრძანებით სასტიკად ეგუსორდა ახალგაზრდობას, სისხლით მორწყო ქალაქის ცენტრალური უბნები. მშვიდობიანი დემონსტრაციების სასტიკად ჩახშობამ ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო ფენების გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.

მაგრამ კონგრესმენებმა — ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელი კომისიის წევრებმა — გუშინ გაასამართლეს არა ანიოკების დამნაშავენი — ჩიკაგოს პოლიცია, არამედ ძალადობის მსხვერპლნი — ახალგაზრდობა, რომელმაც პროტესტის ხმა აღიმაღლა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

კვლავ გამოიყენეს ჩვეული გაცვეთილი ხერხი — ეპოვათ დემონსტრაციების მითური „წითელი“ წამქეზებლები და სისხლისღვრისათვის მთელი ბრალი დაეკისრებინათ ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული ორგანიზაციებისათვის.

ჭეყნის მოწინავე ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა მოუწოდეს ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეებს მოეწყოთ კომისიის სხდომათა დარბაზის პიკეტირება. ამერიკელთა ძლიერი აღშფოთების შიშით, კონგრესელმა ინკვიზიტორებმა დასახმარებლად გამოიწვიეს უშიშროების სამსახური და მიმართეს სიფრთხილის სხვა ღონისძიებებს. სხდომის დარბაზში შეუშვეს მხოლოდ 25 კორესპონდენტი სპეციალური საშვებით, რომლებსაც გულმოდგინედ ამოწმებდა პოლიცია. თუმცა სხდომები ფორმალურად ღიად ითვლება, საზოგადოებისათვის გამოყოფილ დარბაზში მხოლოდ კონგრესის თანამშრომლები იყვნენ.

ჩილე

გულის გადანერგვის ოპერაცია

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ჩილეს ქალაქ ვალპარაიოსში, „ადმირალ ნეფის“ ჰოსპიტალში გულის გადანერგვის ოპერაცია გაუკეთეს ახალგაზრდა ნელსონ ორელიანე სანჩესს.

როგორც ასოციეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ვალპარაიოსიდან იტყობინება, პირველი ასეთი ოპერაცია ჩილეში მიმდინარე წლის 28 ივნისს გაკეთდა. პაციენტი მარია ელენე პენიალოსი თავს კარგად გრძნობს.

ეცნობოდნენ საქართველოს

ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული საგეგმო კომისიის დელეგაცია საქართველოში

2 ოქტომბერს რესპუბლიკის ცხოვრებას კვლავ ეცნობოდა ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული საგეგმო კომისიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ინდოეთის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დოქტორი დ. რ. გადგილი (დელეგაციის მეთაური), საგეგმო კომისიის წევრი რ. ვენკატარამანი, სამრეწველო განვითარების სამინისტროს მდივანი ნ. სუბრამანიამი, საგეგმო კომისიის მრჩეველი ბ. ბ. რაო და ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი დოქტორი პ. ს. ალექსადერი.

დილით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა საუბარი ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული საგეგმო კომისიის დელეგაციის წევრებთან. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. ჩოგოვაძემ სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის ისტორია, საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავება საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

სტუმრებმა მიიღეს მათთვის საინტერესო ინფორმაცია საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილების, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სტრუქტურის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის დაგეგმვის პრინციპების შესახებ. საუბრის დროს ბ. ჩოგოვაძემ სტუმრებს მოუთხრო ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის კავშირურთიერთობაზე, კერძოდ, ინდოეთსა და საქართველოს სს რესპუბლიკას შორის საექსპორტო მიწოდებებზე.

ინდოეთის რესპუბლიკის საგეგმო კომისიის დელეგაციის მეთაურმა დოქტორმა დ. რ. გადგილმა ილაპარაკა თავისი ქვეყნის ეკონომიკაზე, ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული საგეგმო კომისიის დელეგაციის წევრებთან. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. ჩოგოვაძემ სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის ისტორია, საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავება საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

სტუმრებმა მიიღეს მათთვის საინტერესო ინფორმაცია საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილების, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სტრუქტურის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის დაგეგმვის პრინციპების შესახებ. საუბრის დროს ბ. ჩოგოვაძემ სტუმრებს მოუთხრო ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის კავშირურთიერთობაზე, კერძოდ, ინდოეთსა და საქართველოს სს რესპუბლიკას შორის საექსპორტო მიწოდებებზე.

შემდეგ ინდოელი სტუმრები ეწვივნენ თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკას. ფაბრიკის დირექტორმა ი. სარჯველაძემ და საქართველოს ჩაის ტრესტის მმართველმა ი. აბმსაძემ სტუმრებს გააცნეს საწარმოს მუშაობა, ჩაის მრეწველობის განვითარება, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული კომისიის დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ ჩაის ფოთლის გადამუშავების საწარმოო პროცესებით, საამქროებში ესაუბრნენ მუშებსა და მოსამსახურეებს.

სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს საქართველოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის ღირსშესანიშნაობანი. ქალაქის მშრომელთა ცხოვრებაზე, რაიონის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობასა და სულ უფრო მზარდ მრეწველობაზე მათ ესაუბრა საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი ბ. კავთიაშვილი.

მცხეთის ყურძნის პირველადი დამუშავების ქარხანაში საწარმოს მთავარმა მეღვინემ ბ. ზამბახიძემ ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული საგეგმო კომისიის დელეგაციის წევრებს გააცნო ყურძნის დამუშავების პროცესები და საქართველოს მეღვინეობის ეროვნული ტრადიციები.

ნაშუადღევს სტუმრები გაეგზავნენ მუხრანში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობაში, სადაც მათ ახსნა-განმარტებას აძლევდა სასწავლო მეურნეობის დირექტორი პ. მასარაშვილი.

მეურნეობის მუშაობის გაცნობის შემდეგ ინდოეთის რესპუბლიკის საგეგმო კომისიის დელეგაციის მეთაურმა დოქტორმა დ. რ. გადგილმა განაცხადა:

— ძალიან კმაყოფილი ვართ, რომ ასე ახლოს გავეცანით სოფლის მეურნეობის სტრუქტურას საერთოდ, კერძოდ, მუხრანის სასწავლო მეურნეობაში. ინდოეთი აგრარული ქვეყანაა. მას ჯერ კიდევ ვერ მიეღწევია სოფლის მეურნეობის ასეთი განვითარებისათვის, კერძოდ, მექანიზაციის გამოყენების დარგში. ამიტომ მით უფრო საინტერესო იყო იმის ნახვა, თუ როდენ განვითარებულია თქვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. ასეთი შესვედრები, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ახლო გაცნობა დაგვეხმარება უფრო სწრაფად განვავითაროთ ჩვენი ეკონომიკაც.

ინდოელ სტუმრებს მოგზაურობაში ახლდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გოგმელაური, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები დ. ბაშელაშვა, ი. რთველიაშვილი, ბ. ბოლქვაძე.

ამავე დღეს ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული საგეგმო კომისიის დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. (საკდესი).

სუკარნოს საქმე გამოძიებაშია

ინდონეზია

ჯაკარტა, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ინდონეზიის ყოფილი პრეზიდენტი სუკარნო დაპატიმრებულია და ყოველდღე დაჰკითხავენ, იუწყება ინდონეზიის გაზეთი „ნუსანტარა“, გამოძიების შედეგად, წერს გაზეთი, გამორკვა, რომ სუკარნო პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა დროებითი სახალხო საკონსულტაციო კონგრესის დადგენილების მიუხედავად, რომელმაც პრეზიდენტის პოსტიდან გადადაყენების შემდეგ აუკრძალა ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა.

ის, რომ სუკარნოს საქმე გამოძიებაშია, დაადასტურა ინდონეზიის ახლანდელმა პრეზიდენტმა სუხარტომ.

ამ ბოლო დროს სუკარნო, როგორც კერძო პირი, ცხოვრობდა ჯაკარტის მახლობლად საკურორტო ქალაქ ბოგორში.

გაზეთი „ნუსანტარა“ აღნიშნავს, რომ კითხვაზე, „გაასამართლებენ თუ არა სუკარნოს? ინდონეზიის არმიის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა უპასუხეს: „უნდა გაასამართლონ“.

ნახტომი წინ თუ უკან?

ჩინეთის ამბები

1 ოქტომბერს პეკინში ტიანანმინის მოედანზე გამართა ტრადიციული მიტინგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-19 წლისთავის გამო. მიტინგზე გამოვიდა „მაო ძე-დუნის უახლოესი თანამებრძოლი“ თავდაცვის მინისტრი ლინ ბიაო, რომელმაც მაღალფარდოვნად განაცხადა, დიდმა პროლეტარულმა კულტურულმა რევოლუციამ ახლა დიდი გამარჯვებანი მოიპოვაო.

მაგრამ არც ლინ ბიაოს სიტყვაში, არც პეკინის პრესის მასალებში არ ყოფილა მოყვანილი არავითარი კონკრეტული მონაცემები ჩინეთის ეკონომიკისა და კულტურის შესახებ, მათ შორის იმის შესახებ, თუ რა ცვლილებები მოხდა ჩინეთის ცხოვრებაში.

მართალია, სადღესასწაულო ნომერში გაზეთი „ენენინ ციბაო“ პირველ გვერდზე იტყობინებოდა, როგორც დიდ გამარჯვებას, რომ გამოვიდა მაოს სტატიებისა და გამოსვლების ახალი ჯიბის კოლექციონო. „დღესასწაულის წინ ეს ამოღელვებელი და სასიხარულო ამბავი, — გულისამაჩუყებლად წერდა გაზეთი, — დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუციის კიდევ ერთი ნაყოფია.“

ასეთივე აღფრთოვანებული ტონით სინხუას სააგენტომ გადასცა, რომ დღესასწაულისათვის „დამატებით დაამზადეს სამეედი მანქანები თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ნაწარმოებებისა და ფერადი პორტრეტების დასაბეჭდად“. სააგენტომ ამასთანავე აღნიშნა, რომ ბევრი ქარხანა, რომლებიც სულ სხვა სამრეწველო ნაწარმს უშვებენ, გადაიყვანეს „ახალი სახეობის პროდუქციის წარმოებაზე — თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებთა ბეჭდვისა და გაფორმებისათვის“.

„ენენინ ციბაოს“ სხვა მიღწევებად მიიჩნია „დოკუმენტური ფილმი პეკინის ოპერა „წითელი ფარნის“ შესახებ როიალის აკომპანემენტით“, რომელიც, როგორც გაზეთი აღნიშნავს, პირადად შექმნა მაო ძე-დუნის ცოლმა ძიან ციანმა.

ჩინეთის ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ პეკინელი პროპაგანდისტები იძულებული არიან წერონ უფრო ზომიერი ტონით. ამ დღეებში სინხუას სააგენტო ეკონომიურ მიმოხილვაში აღნიშნავდა, რომ მხოლოდ „ახლა იქმნება ყოველმხრივი ნახტომის ვითარება ჩინეთის სამრეწველო წარმოებაში“.

პეკინში „დიადი ნახტომის“ შესახებ წინათაც წერდნენ, მაგრამ ეს „ნახტომი“ დიდი ჩავარდნა გამოდგა ჩინეთის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

„ეკონომიკაში დიდი ძვრების“ დასამოწმებლად პეკინის პრესა ბდა მოჰყავს მხოლოდ ცალკეული შერჩეული მონაცემები, მაგრამ ეს მონაცემებიც მოწმობს, რომ „კულტურული რევოლუციის“ ორი წლის მანძილზე კიდევაც თუ კი იყო „ეკონომიური ნახტომი“, იყო არა ზენ, არამედ უკან.

სინხუას ამავე მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ჩინეთის მთავარ ინდუსტრიულ ცენტრში — შანხაიში მიმდინარე წლის აგვისტოში პროდუქციის წარმოებამ ღირებულებითი გამოხატულებით პირველად გადააჭარბა წინა ორი წლის დონეს. მაგრამ ეს წლები ხომ ისეთი წლები იყო, როცა ბევრი საწარმო ან არ მუშაობდა, ან მცირედად შეამცირა პროდუქციის წარმოება ხუნვეიბინთა თარეშის გამო, ტრანსპორტის ცუდი მუშაობის, ქვანახშირის უკმარობის გამო.

შანხაის „წარმატებათა“ საჩვენებლად სინხუამ გამოქყო „50 მთავარი სახეობის სამრეწველო პროდუქცია“, მაგრამ აქაც აღმოჩნდა, რომ ამ „მთავარი სახეობათა“ პროდუქციის წარმოება გადიდებულა მხოლოდ ორი მესამედის მიხედვით და ისიც 1966 და 1967 წლების აგვისტოსთან შედარებით. თუ რაოდენ დიდი საერთო ეკონომიური ზარალი მიაყენა მრეწველობას „დიდმა კულტურულმა რევოლუციამ“, ამ კითხვაზე სინხუა, რა თქმა უნდა, პასუხს არ იძლევა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-19 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში გაზეთი „ლუმანიტე“ წერს: „მთელი მსოფლიოს რევოლუციონერებს მიაჩნდათ, რომ ეს მოვლენა, რომლის შედეგადაც სოციალისტურ თანამეგობრობაში დაახლოებით 600 მილიონი კაცი შევიდა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ“. მართლაც, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ სულ სხვადასხვა ქვეყნის ათობით დელეგაცია შეიკრება 1 ოქტომბერს პეკინში. მაშინ ტიანანმინის მოედნის ტრიბუნიდან წამოთქვამდნენ სიტყვებს ინტერნაციონალიზმზე, სოციალისტური ქვეყნების მეგობრობასა და თანამშრომლობაზე. ახლა კი, ჯოუ ენ-ლაი ეპირფერება მაო ძე-დუნს და წამოთქვამს მორიგ სიტყვას, რომელიც სავსეა ცილისწამებითა და ლვარძლით საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის წინააღმდეგ.

უკვე მერამდენე წელია პეკინში დღესასწაულზე ჩადიან მხოლოდ ალბანელ გამთიშველთა წარმომადგენლები, თავიანთ პეკინელ პატრონებთან ერთად ისინი თხზაენენ ანტისაბჭოთა ჭორებს, რაც იმპერიალისტური პროპაგანდის მოწონებასა და ქებას იმსახურებს.

საკდესი, 1 ოქტომბერი.

ქოქუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი, 1968 წ.

ნაირ-ნაირი

ილიას ექვეუქეში

ამ დღეებში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს საგურამოში ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ქართველოლოგი ლუის ფრენსის სოლანო.

უცხოელ სტუმარს მუზეუმის თანამშრომლები გულთბილად შეხვდნენ და დაათვალიერებინეს საგამოფენო დარბაზები.

ამერიკელი ქართველოლოგის ჩანაწერი

◆

პროფესორი დიდხანს იდგა ინგლისელი მწერლის, ილია ჭავჭავაძის მეგობრის მარჯორი უორდროპის სურათთან და ქვეით მოიწსნენია „ვეფხისტყაოსანის“ ინგლისურ ენაზე პირველი მთარგმნელის სახელი.

— მარჯორი უორდროპის ინგლისურმა თარგმანმა, — განაცხადა მან, — იმდენად დამაინტერესა, რომ გადავწყვიტე შემესწავლა ქართული და წამეკითხა უკვდავი მგოსნის ნაწარმოები ორიგინალში.

□

პროფესორმა სოლანომ მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა:

„ვერ ვპოულობ სიტყვებს იმ საოცარი სილამაზის გამოსახატავად, რაც აქ ჩემს გარშემო აღმოჩნდა. აქ გუნება და ადამიანი თითქმის ერთმანეთთან შერწყმულია. სახლ-მუზეუმში არსებული სამგლოვიარო ოთახი სიმბოლოა ხალხის წარსული სვლისა, იმ ხალხისა, რომელმაც დასძლია მწუხარება, ტრაგედია და გოლოს იპოვნა მედნიერი ცხოვრების საშუქველი“.

შ. მარკოზაშვილი,
ილიას სახლ-მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი.

□

მარმარილოს ახალი საბადო

ქართველმა გეოლოგებმა სურამის უღელტეხილის რაიონში ჯლმოაჩინეს მარმარილოს დიდი საბადო. მარმარილო სხვადასხვა ფერიხაა, ადვილად იხვეწება და პრიალდება.

როგორც საქდესის კორესპონდენტს საქართველოს მარმარილოს ტრესტის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ი. კვეფინაძემ აცნობა, ახალი საბადოს მარაგი 1.200 ათასი კუბური მეტრია. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ეს რაოდენობა საკმარისია თითქმის ორმოცი წლისათვის. ახალ მარმარილოს ფართოდ გამოიყენებენ ინტერიერების მოპირკეთების დროს, მოზაიკური სამუშაოებისათვის.

ახლა საქართველოში მარმარილოს ქვის 50 საბადოა.

გაზი მთაში

ამბროლაური. (საკ. კორ.). აქაურ მცხოვრებლებს გუშინდელ დღესავით ახსოვთ წითელზოლიანი ავტომანქანის გამოჩენა. ეს იყო ორი წლის წინათ. მაშინ აქ რაიონულ ცენტრში პირველად აინთო ცისფერი ალი. მაგრამ რაჭა მარტო რაიონული ცენტრი რომაა, საქართველოს ეს ულამაზესი მხარე ასზე მეტ სოფელს აერთიანებს. გაზი კი ყველას უნდა.

„ამბროლაურგაზის“ სარაიონთაშორისო კანტორამ, რომელიც მარშან შეიქმნა, დიდი მუშაობა გასწია მთის სოფლების გაზიფიკაციისათვის. ახლა ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში 2.500-ზე მეტ ოჯახშია გაზი, მარტო წელს 800-ზე მეტ ოჯახში დაიდგა გაზქურა. მოსახლეობამ უკვე მოიხმარა 172 ტონა თხევადი გაზი. სათბობის რეალიზაციის თვითღირებულება 12,5 პროცენტით შემცირდა, რის შედეგადაც მოგებამ 9.200 მანეთს გადააჭარბა.

**ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒ